




**კვირის ეკონომიკური მონიტორი**  
**28 აგვისტო - 3 სექტემბერი, 2017**


- ივლისში ეკონომიკა 3,8%-ით გაიზარდა.
- აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, სახელმწიფო ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდა.
- 2017 წელს საქართველოში ნათესი ფართობი 10%-ით შემცირდა.

**ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, 2017 წელი (%)**



"საქსტატის" წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2017 წლის ივლისში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 3,8 პროცენტი, ხოლო 2017 წლის პირველი შვიდი თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 4,4 პროცენტი შეადგინა.

**სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლები, 2017 წელი (მლნ. ლარი)**




ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა 832,5 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა 783,3 მლნ. ლარი, შესაბამისად მიმდინარე თვის ბიუჯეტის პროფიციტი 49.2 მლნ. ლარი იყო.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.




თბილისის ბანკთაშორის განაკვეთი (TIBR)




თბილისის ბანკთაშორის 1 დღიანი განაკვეთი აგვისტოში, ივლისთან შედარებით 0.24 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.05%-ის ტოლია, ხოლო 7 დღიანი განაკვეთი კი 0,01 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7.03%-ს შეადგენს. 2016 წლის აგვისტოსთან შედარებით 1 დღიანი განაკვეთი გაზრდილია 0.35 პროცენტული პუნქტით, ხოლო 7 დღიანი გაზრდილია 0,26 პროცენტული პუნქტით.

სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები



საქართველოს ეროვნული ბანკის 3 თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი აგვისტოში, ივლისთან შედარებით არ შეცვლილა და 7.12%-ს ტოლია. 2016 წლის აგვისტოსთან შედარებით კი 3 თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთი გაზრდილია 0,57 პროცენტული პუნქტით.

საპროცენტო განაკვეთი სახელმწიფო ობლიგაციებზე




1 წლიან სახელმწიფო ობლიგაციებზე აგვისტოში, ივლისთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთი 0.06 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 7,19%-ს უდრის, ხოლო 2 წლიანი ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი კი 0,14 პროცენტული პუნქტით და 7,52%-ს შეადგენს. რაც შეეხება 5 წლიან ობლიგაციებს მათი განაკვეთი 0,11 პროცენტული პუნქტით შემცირდა. 2016 წლის აგვისტოსთან შედარებით 1 წლიანი ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა 0,63 პროცენტული პუნქტით, ხოლო 5 წლიანი ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 0,07 პროცენტული პუნქტით.




საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების ნათესი ფართობები

(ათასი ჰექტარი)




"საქსტატის" ექსპრეს მონაცემების თანახმად, 2017 წელს საქართველოში ნათესი ფართობი 215,1 ჰექტარი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირებულია 10%-ით. აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით შემცირებულია როგორც საშემოდგომო კულტურები (ხორბალი, ქერი), ასევე, საგაზაფხულო კულტურები (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შვრია, სიმინდი, პარკოსანი კულტურები, კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები). საშემოდგომო კულტურებით ნათესი ფართობი შემცირებულია 16%-ით, საგაზაფხულო კულტურებით 9%-ით.

დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი




საბაზრო მონაცემების თანახმად, მიმდინარე კვირაში ლარი დოლართან მიმართებაში 1.47%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი დოლარის შეძენა 2,4387 ლარად იყო შესაძლებელი.

დოლარი/ლარის გაცვლითი კურსი




გასული ერთი თვის ლარის კურსის მერყეობა დოლართან მიმართებაში გამოსახულია გრაფიკზე, საიდანაც ჩანს, რომ საბაზრო მონაცემების თანახმად გასულ თვეში ლარი დოლართან მიმართებაში 2,32%-ით გაუფასურდა.





საბაზრო მონაცემების თანახმად მიმდინარე კვირაში ლარი ევროსთან მიმართებაში 1,48%-ით გაუფასურდა და კვირის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით ერთი ევროს შეძენა 2,9057 ლარად იყო შესაძლებელი.



ბოლო ერთი თვის განმავლობაში ლარი ევროსთან მიმართებაში 2.63%-ით გაუფასურდა.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში ანალიზისათვის გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქსტატის, ეროვნული ბანკის და აგორა ფინანსების ვებ-გვერდებიდან.

კვირის ეკონომიკურ მონიტორში მოყვანილი მასალის ნებისმიერი ფორმით გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია მითითებული იქნას აგორა ფინანსები როგორც ინფორმაციის წყარო.

საკონტაქტო ინფორმაცია:

გ. მუშკუდიანი

[g.mushkudiani@agora.ge](mailto:g.mushkudiani@agora.ge)

